

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგია / Archaeology -Paleoanthropology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:**

- არქეოლოგიის დოქტორი / PhD in Archaeology (პრეისტორიული და ზოგადი არქეოლოგიის მოდული);
- პალეოანთროპოლოგიის დოქტორი / PhD in Paleoanthropology (პალეოანთროპოლოგიის მოდული).

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისთვის, 120 – კვლევითი კომპონენტისათვის.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- პრეისტორიული და ზოგადი არქეოლოგიის მოდულისათვის – მაგისტრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (კერძოდ, ეთნოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობებში), ასევე მიმართულებათშორისი დარგებიდან არქეოლოგიის, კულტურის კვლევების, არქიტექტურის, რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობებში);  
პალეოანთროპოლოგიის მოდულისათვის - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ინჟინერიის ან ჯანდაცვის მიმართულებით, ასევე მიმართულებათშორისი დარგებიდან არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, არქიტექტურის, რესტავრაცია-კონსერვაციის, ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობის, კულტურის კვლევების, რეგიონმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება.
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

**პროგრამის ხელმძღვანელები:** თსუ პროფესორი **ვახტანგ ლიჩელი**; პალეოანთროპოლოგი, საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, მოწვეული პროფესორი **დავით ლორთქიფანიძე**

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:**

პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ა) პრეისტორიული და ზოგადი არქეოლოგია და ბ) პალეოანთროპოლოგია, რომელთა მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება არქეოლოგიასა და პალეოანთროპოლოგიაში, ამ უკანასკნელის შესაძლებლობა საქართველოში დღემდე არ არსებობდა.

არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, თავისი ორი კვლევითი მოდულით მოამზადოს არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დარგის მკვლევარი დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით არქეოლოგია/პალეოანთროპოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად, სადოქტორო პროგრამა არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიაში ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და დარგში ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელშეწყობას.

არქეოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულად განვითარებადი დარგია, რომლის მიმართ განსაკუთრებულად მზარდი ინტერესი შეიმჩნევა. ბოლონობის პროცესში და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ჩართვამ ახალი მოთხოვნილებების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფად ცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრებასა და გადაწყვეტას.

განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა არქეოლოგიის ინტერდისციპლინური ხასიათი, რაც გამოიხატება არქეოლოგიურ კვლევებში საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევათა ფართო დანერგვით. ამავე დროს არქეოლოგია ინარჩუნებს თავის ღრმა კულტურული და სოციალური კვლევის ასპექტებს.

არქეოლოგიის განვითარებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დადგენილია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს არის არა მხოლოდ ქვის და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის კარდინალური საკითხები (ძირითადად, საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენა), აგრეთვე თანამედროვე კვლევების (მათ შორის, დათარიღების ახალი მეთოდების) საერთაშორისო ნორმები.

თავისი არსით პალეოანთროპოლოგია არის ევოლუციური ბიოლოგიისა და ქვის ხანის არქეოლოგიის სინთეზი, ის შეისწავლის ადამიანის ბიოლოგიურ და კულტურულ ევოლუციას - იკვლევს ადამიანისა და ფოლოგენეტურად მასთან დაკავშირებულ ნამარხ ფორმებს, მათ საარსებო გარემოს და ქვის ხანის ინდუსტრიას. ამ მიზეზის გამო წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა დარგთაშორისია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადრეული ადამიანის ნამარხების კოლექცია მსოფლიოში უნიკალურია, რადგანაც ეს არის ევრაზიაში ადრეული ჰომოს უძველესი, უმდიდრესი, ძალიან კარგად შემონახული და მზარდი კოლექცია. დმანისის აღმოჩენებმა კატალიზატორის როლი შეასრულა პალეოანთროპოლოგიურ და ზოგადად პალეონტოლოგიურ დებატებში, გამოაცოცხლა ინტერესი ქვის ხანის არქეოლოგიის და პალეოანთროპოლოგიის მიმართ საქართველოში; საქართველო მსოფლიო სამეცნიერო კვლევების ცენტრში აღმოჩნდა და მოიზიდა მაღალი რეიტინგის მეცნიერები მთელი მსოფლიოდან.

სადოქტორო პროგრამა და არსებული რესურსი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციები, მიმდინარე გათხრები, სამეცნიერო კონტაქტები) დოქტორანტებს საშუალებს მისცემს, განავითარონ სამეცნიერო კარიერა პალეოანთროპოლოგიაში, ქვის ხანის არქეოლოგიასა და პალეონტოლოგიაში. ყველაფერი ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით უქმნის რეალურ ბაზას დოქტორანტების მოსამზადებლად, მათთვის ფართო სამეცნიერო ინტერესებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მისაცემად. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეიძენს თანამედროვე სტანდარტებით კვლევის ჩვევებს, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარს.

**მოდული: პრეისტორიული და ზოგადი არქეოლოგია** (მისანიჭებელი ხარისხი – არქეოლოგიის დოქტორი / PhD in Archaeology)

კვლევების ძირითადი თემატიკა და არეალი:

1. ქვის ინდუსტრიის ანალიზი;
2. დემოგრაფიული/საარსებო საშუალებების მოპოვების სტრატეგიები;
3. ადამიანის ქცევითი ადაპტაციების ევოლუცია გარემოპირობების ცვალებადობის გრძელვადიანი მოდელის ფონზე;
4. გეოარქეოლოგია.
5. ქვის ხანის ადრეული/ცალკეული ეტაპები საქართველოში, კავკასიაში და მისი ადგილი ჰომინიდის განვითარების ზოგად სქემაში.
6. ბრინჯაოს ხანა საქართველოსა და კავკასიაში: მტკვარ-არაქსის კულტურა - ქრონოლოგიური და კულტურული დეფინიციის პრობლემები, მისი გენეზისისა და კონტინუიტეტის საკითხები; ადრეული ყორღანების ადგილი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურათა კონტექსტში; შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები.
7. შუადან გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გარდამავალი ეტაპები-გენეზისის პრობლემები.
8. ადრეული რკინის ხანა საქართველოში.
9. კოლხეთი და ეგეოსური სამყარო.
10. იბერია და აღმოსავლური ცივილიზაციები.
11. შუა საუკუნეების საქართველო.

**მოდული: პალეოანთროპოლოგია** (მისანიჭებელი ხარისხი – პალეოანთროპოლოგიის დოქტორი / PhD in Paleoanthropology)

სადოქტორო კვლევების გეოლოგიური დროის პერიოდი ჰომინიდების ევოლუციის პერიოდით შემოიფარგლება (ნეოგენი-მეოტხეული) და ჰომინიდებისა და მათი საარსებო გარემოს კვლევის ყველა ასპექტს მოიცავს.

კვლევების ძირითადი მიმართულებებია:

1. ადამიანისა და ფოლოგენეტურად მასთან დაკავშირებული ნამარხი ფორმების ევოლუცია;
2. ფაუნის (ხერხემლიანთა და უხერხემლოთა) სხვადასხვა ჯგუფების ევოლუცია;
3. მცენარეული საფარის ევოლუცია ნეოგენსა და მეოტხეულში;
4. პალეოეკოლოგია;
5. ტაფონომია.

**სწავლის შედეგი:**

**ა) ცოდნა და გაცნობიერება –**

**არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის** დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; შეუძლია დარგის ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. შეუძლია დარგის კვლევის მეთოდების და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება.

არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სრული ინფორმაცია მისი კონკრეტული სამეცნიერო ქვედარგის ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი აღმოჩენების შესახებ.

**პალეოანთროპოლოგიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს** ევოლუციის ბიოლოგიური კონცეფციისა და შედარებითი ანატომიის სიღრმისეული ცოდნა; მრავალმხრივი ცოდნა ადამიანის ბიოლოგიური და კულტურული ევოლუციის, ჰომინიდების საარსებო გარემოს ბიომრავალფეროვნების შესახებ, გარდა ამისა, საკმარისი ცოდნა ტაფონომიაში, გეოლოგიაში, დათარიღების მეთოდებში, რესტავრაცია-კონსერვაციაში, რაც საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად ჩაატაროს ტაქსონომიური კვლევა – ნამარხი ფორმების ამოცნობა და ახალი ფორმების იდენტიფიცირება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის მეთოდებისა და ახალი აღმოჩენების კომბინირებით; მონაწილეობა მიიღოს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთობლივ კვლევაში, ეფექტურად შეაგროვოს ყველა აუცილებელი მონაცემი ქვის ხანის

არქეოლოგიური ძეგლის და პალეონტოლოგიური ადგილსაპოვნების ინტერპრეტაციისათვის და კოორდინირება გაუწიოს ინტერდისციპლინარული გუნდის მუშაობას, იცის, როგორ დაგეგმოს დამოუკიდებლად და უხელმძღვანელოს დაზვერვებს და გათხრებს.

**პრეისტორიული და ზოგადი არქეოლოგიის მოდულის კურსდამთავრებულს** აქვს აღმოჩენილი არტეფაქტების თანამედროვე ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევისთვის საჭირო დარგობრივი ცოდნა; იცის, როგორ მოამზადოს არქეოლოგიური ძეგლის სრული ანგარიში აღწერითი ნაწილისა და ინტერპრეტაციის ჩათვლით; სიღრმისეულად გარკვეულია არქეოლოგიური მეთოდების, თეორიისა და რეგიონის არქეოლოგიური მატრიანის შესახებ არსებულ ლიტერატურაში.

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში შესაძლებლობას აძლევს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი, კვლევა განახორციელოს რომელიმე პერიოდის ან მასალის მიხედვით. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებს არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის როგორც დამოუკიდებელი ინტერდისციპლინური მეცნიერების ადგილს თანამედროვე ცოდნის სისტემაში და მის სხვა მეცნიერებებთან ურთიერთკავშირს. კურსდამთავრებული ინტეგრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, რაც სწავლის პროცესშივე უზრუნველყოფილია მისი საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გზით. აქვს ფუნდამენტური ცოდნა და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასაქმებას არქეოლოგიის/ბიოლოგიის დოქტორისათვის განკუთვნილ პოზიციაზე. სიღრმისეულად ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის ინფორმაციის მიღების და დამუშავების მეთოდებს.

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები; იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძველებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძველებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.

## ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს შეუძლია იპოვოს დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს დარგობრივი კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში - ქვის ხანის არქეოლოგიურ ძეგლზე, ასევე პალეონტოლოგიურ ადგილსაპოვებელზე სავლე მუშაობისას, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის მეთოდებისა და ახალი აღმოჩენების კომბინირება; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია არქეოლოგიაში/პალეოანთროპოლოგიაში და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება, შეუძლია არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების ხელმძღვანელობა და ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობა თუ მისი კოორდინირება.

მას აქვს კოლექციებზე მუშაობის უნარ-ჩვევები:

- შეუძლია ტაქსონომიური კვლევის ჩატარება – ნამარხი ფორმების ამოცნობა და ახალი ფორმების იდენტიფიცირება (მოდული პალეოანთროპოლოგია);
- აღმოჩენილი არტეფაქტების კვლევა თანამედროვე ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით (მოდული არქეოლოგია).

კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) ადეკვატური ლექსიკითა და ენობრივი სტილის გამოყენებით შექმნის, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმების, პრეზენტაციის, მათი შეფასების, რეცენზირებისა და აკადემიური ფორმით არგუმენტირების უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების

მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.

#### გ) დასკვნის უნარი –

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს შეუძლია დარგობრივი კვლევის შეჯამება, ყველა არგუმენტის ინტეგრაციით ლოგიკური, ნათლად ჩამოყალიბებული დასკვნის გამოტანა; მონაცემების კრიტიკული და ღრმა ანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.

#### დ) კომუნიკაციის უნარი –

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს შეუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე. შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან პროფესიული კომუნიკაცია, დარგისა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება, კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩენა; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით საკომუნიკაციო სტრატეგიების, ტაქტიკისა და რიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენება; დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, მოხსენება, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი; შეუძლია სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის;

მას შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე ზეპირი მოხსენებების გაკეთება, დისკუსიებში მონაწილეობა, აქვს საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების წამოყენების უნარი;

აქვს სამეცნიერო პროექტების დაგეგმვისა და წარმართვისთვის აუცილებელი პროფესიული კომუნიკაციის უნარი;

შეუძლია არქეოლოგიის, პალეოანთროპოლოგიის და პალეონტოლოგიის საინტერესო საკითხების ფართო საზოგადოებისათვის პოპულარულ ენაზე მოწოდება.

### ე) სწავლის უნარი –

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს, დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესი. იგი აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას და შეუძლია დარგში არსებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, პრობლემის იდენტიფიცირება, სამეცნიერო სიახლეებისადმი მუდმივად თვალის მიდევნება და კვლევაში მათი ინტეგრირების უნარი; შეუძლია სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის მეთოდებისა და ახალი აღმოჩენების კომბინირება, საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო პროფილის შეცვლა და ახალ ვითარებასთან ადაპტირება.

### ვ) ღირებულებები –

არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის დოქტორს აქვს მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას, იცავს და ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ნორმებს, რაც გულისხმობს: ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას, სხვათა აზრის პატივისცემას, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკის ნორმების დაცვას; მას შეუძლია ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად-რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირებითა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

- სასწავლო კომპონენტი: ECTS კრედიტების რაოდენობა - 60 ECTS კრედიტი.



**სასწავლო კომპონენტის შეფასება:** სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც ხელმძღვანელის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება მინიმუმ 30 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

- **კვლევითი კომპონენტი:** ECTS კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი (დოქტორანტის ორი კოლოკვიუმი 40 (20+20) ECTS კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 80 ECTS კრედიტი).

**კვლევითი კომპონენტის შეფასება:** დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.
- ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.
- გ) მონაცემთა სარწმუნოება (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების

მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

### დისერტაციის შეფასება:

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

#### დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება *summa cum laude* (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება *magna cum laude* (ძალიან კარგი)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება *cum laude* (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება *bene* (დამაკმაყოფილებელი )- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება *rite* (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება insufficienter ( არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება sub omni canone (სრულიად არადამაკმაყოფილებელი ) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

### **კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:**

**არქეოლოგიის/პალეოანთროპოლოგიის** დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტმა შეიძლება იმუშაოს სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში არქეოლოგიის, პალეოანთროპოლოგიის, პალეობიოლოგიის სპეციალობის მიხედვით. ამასთან, მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნის მიღების შედეგად, მას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საექსპერტო სამუშაო, ანუ შეაფასოს (ქრონოლოგიურად, კულტურულად, წარმოშობის თვალსაზრისით) ის ნივთები, რომლებიც კონკრეტული ინტერესების საგანს შეიძლება შეადგენდეს. შესაძლებელია, დასაქმდეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სამსახურებში; ანალიტიკურ ცენტრებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

### **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. საერთაშორისო პროგრამებში დოქტორანთა ჩართულობას უზრუნველყოფენ მოდულების ხელმძღვანელები საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობითა და აკადემიური კონტაქტებით.

### **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია ექსპოზიციით და ბიბლიოთეკა; საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციები, დმანისის-მუზეუმ ნაკრძალი, საველე ბაზა და ლაბორატორია, თსუ-ს და ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკები,

პალეობიოლოგიისა და ქვის ხანის არქეოლოგიის კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორია, 3D სკანერი, ბინოკულარები, მორფომეტრიული იარაღები, საველე პრაქტიკის ბაზა.

### **რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:**

არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-7 დოქტორანტის მიღება.

### **პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:**

ვახტანგ ლიჩელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი.

დავით ლორთქიფანიძე - პროფესორი, პალეოანთროპოლოგი, დმანისის გათხრების ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი; [dlordkipanidze@museum.ge](mailto:dlordkipanidze@museum.ge)

გურამ გრიგოლია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების ემერიტუს პროფესორი.

ზვიად კვიციანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

მარინა ფუთურიძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

რიდ ფერინგი – ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, გეოარქეოლოგი, [ferring@unt.edu](mailto:ferring@unt.edu)

მაია ბუხსიანიძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პალეონტოლოგი, [mbukhsianidze@hotmail.com](mailto:mbukhsianidze@hotmail.com)

მარტა ტაპენი – მინესოტას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტაფონომისტი, [tappe004@tc.umn.edu](mailto:tappe004@tc.umn.edu)

რუსუდან ჩაგელიშვილი - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გეოლოგია-პალეონტოლოგიის ფონდის კურატორი, [r\\_chagelishvili@yahoo.com](mailto:r_chagelishvili@yahoo.com)

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები:

ა) სასწავლო კომპონენტი ( 60 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები– 40-45 კრედიტი (ECTS)						
	სასწავლო დასახელება	კურსის რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სემესტრი	ლექტორი/ები
1	სწავლების მეთოდები	5	63 სთ. ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ეთერ ღვინერია
2	მეცნიერების მენეჯმენტი	5	48 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	გიორგი ღვინერია, თამარ გოგუა
3	დოქტორანტის სემინარი	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
4	პროფესორის ასისტენტობა	5			შემოდგომა/	

					გაზაფხული	
5	აკადემიური წერა (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები წინა საფეხურზე არ გაუვლია)	5	48 საათი. ლექცია –15, პრაქტიკუმი –30 საათი. გამოცდის ჩატარება – 3 საათი.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ქ.გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი
7	საველე პრაქტიკა დმანისის ქვის ხანის არქეოლოგიურ ძეგლზე (პალეოანთროპოლოგიის მოდული) / საველე და ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგია არქეოლოგიაში (არქეოლოგიის მოდული)	10	50 სთ. საკონტაქტო მუშაობა	200 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა.	შემოდგომა/ გაზაფხული	დავით ლორთქიფანიძე; რიდ ფერინგი; მაია ბუხსიანიძე; მართა ტაპენი (პალეოანთროპოლოგიის მოდულის პრაქტიკა); ვახტანგ ლიჩელი (არქეოლოგიის მოდულის პრაქტიკა)
<b>არჩევითი კურსები / აქტივობები – 20-15 კრედიტი (ECTS)</b>						
1.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10	36 სთ. ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ. გამოცდის 6 საათი.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	მაკა ერამე

2.	შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში SPSS-ის ელემენტებით	5	30 საათი; მათ შორის 2 საათი ორი შუალედური გამოცდისთვის; 3 სთ — დასკვნითი გამოცდისთვის;	92 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ლილი ხეჩუაშვილი
3.	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	10	36 სთ.  ლექცია – 15 სთ.  სამუშაო ჯგუფში მეცად. 15 სთ.  საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ირინე დარჩია
4.	დოქტორანტის სემინარი (სავალდებულო ერთი სემინარის გარდა, არჩევითი სტატუსით მეორე სემინარი)	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
5.	პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო 5 კრედიტის გარდა, არჩევითი სტატუსით)	5-10			შემოდგომა/ გაზაფხული	
6.	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5-15			შემოდგომა/ გაზაფხული	
7.	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5-15			შემოდგომა/ გაზაფხული	
8.	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების	5-10			შემოდგომა/ გაზაფხული	

	სასწავლო კურსები				გაზაფხული	
9.	სხვა სახის აქტივობა	5-10			შემოდგომა/ გაზაფხული	

ბ) კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)

სავალდებულო – 120 კრედიტი (ECTS)			
	აქტივობის სახე	კრედიტების რაოდენობა	სემესტრი
1	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული
2	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	80 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული